

ფინანსური ანგარიშგებები და განმარტებები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები	8-11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31-12-21	31-12-20
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	597,516	163,692
სავაჭრო მოთხოვნები	338,965	109,928
გადახდილი ავანსები	-	-
მარაგები	560,776	618,378
მზაპროდუქცია	560,776	618,378
სხვა	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
გაცემული სესხები	-	-
საგადასახადო აქტივი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	40,376	24,289
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა	-	-
წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	1,537,633	916,287
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	313,931	405,435
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	48,312	50,940
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	70,349
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სასესხო	-	-
ვალდებულებები	-	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	362,243	526,724

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-სშემთხვევაში
'კაპიტალი', კოოპერატივის
შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')

- -

საემისიო შემოსავალი

- -

გამოსყიდული საკუთარი აქციები
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

- -
1,175,390 389,563

გადაფასების რეზერვი

- -

სხვა რეზერვები

- -

სულ საკუთარი კაპიტალი

1,175,390 389,563

**სულ საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები**

1,537,633 916,287

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021 წელი	2020 წელი
ნეტო ამონაგები	4,367,871	4,258,959
საქონლის გაყიდვიდან	4,316,396	4,184,178
მომსახურების გაწევიდან	51,474	74,781
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,201,832)	(3,374,337)
საერთო მოგება	1,166,038	884,622
სხვა შემოსავალი	5,003	16,177
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)	(178,588)	(205,250)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)	(10,903)	(5,354)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი (-)	2,947	6,585
იჯარის ხარჯი (-)	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	(198,670)	(354,344)
სულ საოპერაციო ხარჯები	(380,211)	(542,186)
საოპერაციო მოგება	785,827	342,436
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-	-
განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი (-)	(-)	(-)
მოგება/(ზარალი)	785,827	342,436
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)		
გადაფასების რეზერვი	-	-

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირესა წარმოების უმრავი ქონებისა და ფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	785,827	342,436
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	389,563	713,873
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა' , კოოპერატივი შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალისგაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(666,746)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,175,390	389,563

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	433,824	-121,356
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	433,824	-121,356
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	163,692	285,048
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	597,516	163,692

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „თაზო“ (ს/ნ 431437910) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2019 წლის 24 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თელავი, სოფელი ვარდისუბანი, დეკანაზურის ქ., №1. შპს „თაზო“-ს (ს/ნ 431437910) 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია ფ.პ რამაზი ყარაულაშვილი (პ.ნ 20001016680). კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროა საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებულ ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

მოგების გადასახადი

სსკ-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება

სასარგებლო გამოყენების ვადა

შენობა-ნაგებობები

5%

ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი

20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის

აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება როგორც ბანკში, ასევე სალაროში არსებული ფულის ნაშთისგან.


რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შპს „თაზო“ (ს/ნ 431437910)

დირექტორი:  -----/

ბუღალტერი:  -----/